



საქართველოს რეგიონული განვითარების და  
ინფრასტრუქტურის

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-12) სამტრედია-ლანჩხუთი-  
გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 12 (კმ 11+500)-ზე, მდ.  
ხევსწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო  
სამუშაოების პროექტის

ბუნებრივ და სოციალურ  
გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

შემსრულებელი:  
შპს “კავტრანსპროექტი“



თბილისი 2018

## შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობის ხელშეწყობასა და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებას უმთავრესი როლი ენიჭება, ამ მხრივ კი, როგორც სახელმწიფო ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ქსელის გაუმჯობესება მნიშვნელოვან ფაქტორებს განაპირობებს. სატრანსპორტო სექტორის განვითარება აუცილებელია სათანადო ეკონომიკური ზრდისთვის, და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-12) სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 12 (კმ 11+500)-ზე, მდ. ხევსწყალზე არსებული სახიდე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ლ. კუპატაშვილის მიერ დამტკიცებული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

წინამდებარე ანგარიში „გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის განყოფილ ნაწილს, შესაბამისად მასში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მშენებელმა კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შემარბილებელი ღონისძიებების გატარება და მაქსიმალურად ეცადოს პროექტის განხორციელების დროს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარემოზე მავნე ზემოქმედება.

### ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და მათი მართვა.

მოსამზადებელი ეტაპის ერთერთი მნიშვნელოვანი სამუშაოებია მცენარეული საფარის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და მათი მართვა.

პროექტი სპეციფიკიდან გამომდინარე მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების ჩატარება საჭირო არ არის, ვინაიდან ახალი ხიდი აშენდება არსებული ხიდის ღერძზე ნიადაგის ფენის მოხსნის სამუშაოები უნდა განხორციელოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვით.

მოსამზადებელ ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება:

- სამშენებლო ბაზების ტერიტორიაზე;
- ფუჭი ქანების სანაყაროსთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე;
- საპროექტო ხიდის დერეფნის სამშენებლო მონაკვეთის თითქმის მთლიან სიგრძეზე.

**სარეკულტივაციო სამუშაოები** სარეკულტივაციო სამუშაოებში იგულისხმება დროებითი ნაგებობების და მშენებლობისას გამოყენებული დანადგარ-მექანიზმების დემობილიზაცია, მშენებლობის პროცესში დაზიანებული უბნების აღდგენა, დაბინძურებული ნიადაგების/გრუნტის მოხსნა და გატანა სარემედიაციოდ, სამშენებლო

ნარჩენების გატანა და ა.შ. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით, რეკულტივაციას ექვემდებარება ყველა კატეგორიის დაზიანებული და დეგრადირებული ნიადაგი, ასევე მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთები, რომლებმაც დაზიანებული და დარღვეული ნიადაგების უარყოფითი ზემოქმედების შედეგად ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგეს პროდუქტიულობა. დეგრადირებული ნიადაგის რეკულტივაცია ხორციელდება მისი სასოფლო-სამეურნეო, სატყეო-სამეურნეო, წყალ-სამეურნეო, სამშენებლო, რეკრეაციული, გარემოსდაცვითი, სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი და სხვა დანიშნულების ადგილის მიზნით. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა და მისი ნაყოფიერება მიახლოებით პირვანდელ მდგომარეობამდე, რისთვისაც საჭიროა: ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში, მოახდინოს დამაბინძურებელი წყაროს ლიკვიდაცია და უმოკლეს ვადებში ჩაატაროს დაბინძურებული ტერიტორიის რეკულტივაცია, ნიადაგის საფარის მთლიანობის აღდგენის მიმართულებით; დაიცვას მიმდებარე ტერიტორია დაზიანებისა და დეგრადაციისაგან. ამავე ტექნიკური რეგლამენტის თანახმად სარეკულტივაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს რეკულტივაციის პროექტის მიხედვით. სამშენებლო მოედნების რეკულტივაციის პროექტი შემუშავდება მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენის შემდგომ (მას შემდეგ რაც დაზუსტდება სხვადასხვა ტექნიკური საკითხი).

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-12) სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 12 (კმ 11+500)-ზე, მდ. ხევისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელი აგებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში.

საპროექტო ტერიტორია ადმინისტრაციულად მიეკუთვნება თელავის მუნიციპალიტეტს.

სამტრედიის რაიონის ძირითადი ნაწილი კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს, ხოლო მცირე ნაწილი საჯავახოს ზეგანზეა შეფენილი. სამტრედიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. სამტრედია, სადაც ქუთაისიდან გზატკეცილს უერთდებიან გურიისა და სამეგრელოს მთავარი გზები. რაიონის ფართობი 346,1 კვ.კმ.-ს შეადგენს, რომელშიც 50 დასახლებული პუნქტია. მათ შორის ერთი ქალაქი-სამტრედია, ერთი დაბა კულაში და დიდი სასოფლო საკრებულოები: გომი, ჯიხაიში, ნაბაკევი.

ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდება ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების მომზადება, სამუშაოების წარმოების ფრონტის უზრუნველსაყოფად. მოსამზადებელ სამუშაოებში გათვალისწინებულია სამუშაოებისთვის საჭირო დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა და შესაბამისი სამშენებლო ტექნიკის/დანადგარ მექანიზმების მობილიზაცია. გადაწყდება დროებითი ობიექტების წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების საკითხები და ა.შ.

პროექტის განხორციელების მნიშვნელოვანი ეტაპია რეაბილიტაციის პროცესში


წარმოქმნილი სხვადასხვა ტიპის ნარჩენების მართვა. რეაბილიტაციის დასასრულს დემობილიზებული იქნება დროებითი ნაგებობები; განხორციელდება სარეკულტივაციო სამუშაოები, მოხდება ლანდშაფტის ჰარმონიზაცია.

ამ ეტაპზე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განხილულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედების შემდეგი სახეები:

პროექტის ფაზა	რეაბილიტაციის ეტაპი	ექსპლუატაციის ეტაპი
მოსალოდნელი ზემოქმედება		
• ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების რისკები	-	-
• ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა	⊕	⊕
• ხმაური და ვიბრაცია	⊕	⊕
• გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება	-	
• წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკები	⊕	⊕
• ზემოქმედება ნიადაგზე, დაბინძურების რისკები	⊕	⊕
• ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სახეობებზე	⊕	⊕
• ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება	-	-
• ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე	⊕	⊕
• ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებზე ზემოქმედების რისკები	-	-

რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკებს: საპროექტო დერეფნის სიახლოვეს ეროვნული კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო კონვენციებით დაცული ტერიტორიები არ ფიქსირდება, საპროექტო ტერიტორია არ კვეთს საქართველოს ეროვნულ სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებულ ტერიტორიებს.

საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი ფრინველების ძირითადი ნაწილი ტყისა ბუჩქნარების და სახეობებით არის წარმოდგენილი გხვდება ასევე წყალთან დაკავშირებული ფორმები ტერიტორია არ წამოადგენს ფრინველთათვის მნიშვნელოვან საბინადრო გარემოს. იგი არ ხვდება ფრინველთათვის პრიორიტეტული ჰაბიტატების და სამიგრაციო დერეფანის ტერიტორიაზე



**ზედაპირულ და გრუნტის წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების დასაშვები დონეები**

მაგნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციები ზედაპირულ და გრუნტის წყლებში განსაზღვრულია “გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანებით № 297/ნ (ჩასწორებულია მინისტრის 24.02.2003 წლის №38/ნ ბრძანებით). ზედაპირულ და გრუნტის წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების დასაშვები დონეები ნაჩვენებია ცხრილში

№	ნივთიერების დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია
<b>ზედაპირული წყალი</b>		
1.	pH	6.5-8.5
2.	გახსნილი ჟანგბადი, მგ/ლ	4 – 6
3.	ნახშირწყალბადები, მგ/ლ	
4.	TDS, მგ/ლ	
5.	ჯამური აზოტი, მგ/ლ	
6.	ჯამური ფოსფატი, მგ/ლ	
7.	ქლორიდები, მგ/ლ	350
8.	ნავთობპროდუქტები, მგ/ლ	0.3
9.	თუთია ( $Zn^{2+}$ )	1გ/კგ
10.	თუთია (Pb total)	23,0
11.	ქრომი ( $Cr^{6+}$ )	32,0
12.	კადმიუმი (Cd, total)	6,0
<b>გრუნტის წყალი</b>		
1.	TDS, მგ/ლ	
2.	სულფატები, მგ/ლ	250
3.	ქლორიდები, მგ/ლ	250

4.	ნახშირწყალბადები, მგ/ლ	
5.	ნატრიუმი, მგ/ლ	200
6.	კალციუმი, მგ/ლ	140
7.	მაგნიუმი, მგ/ლ	85
8.	საერთო კოლიფორმები, 250 მლ-ში	დაუშვებელი

# 1. ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
<p>პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის აღწერა</p>	<p>სარეაბილიტაციო ხიდი მდებარეობს გეგმაში სწორ მონაკვეთზე. ხიდი მართობულად კვეთს მდ. ხევისწყალს.</p> <p>სარეაბილიტაციო ხიდი სამმალისანი ჭრილკოჭოვანი სისტემისაა, სქემით 3X21.6 მ. მისი მთლიანი სიგრძეა 73.3მ, გაბარიტი Γ-8.0+2×1.0 მ, მთლიანი სიგანე 10.95 მ. მალის ნაშენზე მოწყობილია ასფალტბეტონის სავალი ნაწილი, ტროტუარები და ფოლადის მოაჯირები.</p> <p>სარეაბილიტაციო ხიდის მალის ნაშენი განივ კვეთში წარმოადგენს წინასწარდამაბული რკინაბეტონის 21.6მ სიგრძის კოჭებს (განივ კვეთში 5 კოჭი), რომელზეც დამონტაჟებულია სავალი ნაწილის ასფალტბეტონის საფარი, ტროტუარები და მოაჯირები. გზის სამოსი შესრულებულია ასფალტბეტონით.</p> <p>მალის ნაშენის კოჭები დაყრდნობილია ტიპური კონსტრუქციის ფოლადის საყრდენ ნაწილებზე.</p> <p>ხიდს აქვს ორი სანაპირო და ორი შუალედი ბურჯი. კონსტრუქციული თვალსაზრისით როგორც სანაპირო ისე შუალედი ბურჯი ერთმანეთის იდენტურია.</p> <p>ხიდის სანაპირო ბურჯები მასიური რკინაბეტონის კონსტრუქციისაა და მათი ხილული ნაწილი შედგება ტანის, ფერმისქვემა ფილისა და საკარადე კედლისაგან.</p> <p>ხიდის შუალედი ბურჯების შედგება საძირკვლის, ტანისა და ხიდის განივად ორკონსოლიანი ტრაპეციული მოხაზულობის რიგელისაგან. შუალედი ბურჯის ხილული ნაწილის სიმაღლე 4.3-4.5 მეტრის ფარგლებშია.</p> <p>ხიდის არსებული სავალ ნაწილს წარმოადგენს ორმხრივი ქანობის მქონე ასფალტბეტონის საფარი, რომელიც გვერდებიდან შემოფარგლულია თვალამრიდებიანი ანაკრები ტროტუარის ბლოკებით.</p> <p>წინამდებარე პროექტი შედგენილია შპს „საქგზამეცნიერების“ მიერ დამუშავებული ხიდის გამოკვლევა-გამოცდის ტექნიკური ანგარიშისა და შპს „კავტრანსპროექტის“ მიერ ამა წლის დეკემბრის თვეში ჩატარებული კვლევის საფუძველზე.</p> <p>ხიდის გამოკვლევის პროცესში დაფიქსირდა შემდეგი დეფექტები და დაზიანებები: დაზიანებულია ტროტუარის ბლოკები და კოროზირებულია ფოლადის მოაჯირები (სურ. 1 და 2); დაზიანებულია მალის ნაშენის კოჭები, კოჭების თითქმის მთელ ზედაპირზე ჩამომლილია დამცავი ფენის ბეტონი ჩანს არმატურის ღეროები (სურ. 3, 4 და 5); გამოფიტულია სანაპირო და შუალედი ბურჯების ბეტონის დამცავი ფენა (სურ. 6 და 7); ხიდზე და მის მისასვლელებზე მოწყობილი ფოლადის ზღუდარები დეფორმირებულია (სურ. 8).</p> <p>წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული დეფექტების აღმოფხვრას, კერძოდ უნდა განხორციელდეს: მალის ნაშენის დაზიანებული კოჭების შეცვლა, ახალი სავალი ნაწილის მოწყობა ახალი ტროტუარის ბლოკებისა და მოაჯირების მონტაჟით; ხიდზე წყალმომცილებელი სისტემის მოწყობა პოლიეთილენის საწრეტი მილებითა და თუჯის ხუფებით; სანაპირო და შუალედი ბურჯებზე რ.ბ. პერანგების მოწყობა და მისასვლელი ყრილების გამაგრება მონოლითური ბეტონის ფილებით.</p>

საპროექტო მალის ნაშენის მოწყობა გათვალისწინებულია თანაბარი სიმაღლის რკინაბეტონის 21.6მ სიგრძის ტიპიური კონსტრუქციის ანალოგიური წიბოვანი კოჭებით (განივ კვეთში 7 ცალი). კოჭები გაანგარიშებულია A14 და HK100 დატვირთვებზე. კოჭების დასამზადებლად გათვალისწინებულია სიმტკიცეზე B30 კლასის ბეტონი, ხოლო მუშა არმატურად (წიბოს გრძივი მუშა ღეროები, ფილის განივი მუშა ღეროები) გათვალისწინებულია A500 კლასის არმატურის სხვადასხვა დიამეტრის ღეროები. ხიდის საპროექტო სავალი ნაწილის კონსტრუქცია სტანდარტულია და შედგება ბეტონის გამათანაბრებელი, 0.5სმ ჰიდროიზოლაციის, 4სმ არმირებული დამცავი ფენისა და 9სმ სისქის ასფალტბეტონის ფენებისაგან. ხიდზე პროექტით გათვალისწინებულია, დახურული ტიპის სადეფორმაციო ნაკერის მოწყობა. საპროექტო 1.0მ სიგანის ტროტუარის ბლოკები ტიპიურის ანალოგიური კონსტრუქციისა და მათი მონტაჟი გათვალისწინებულია ხიდის ორივე მხარეს, მის მთელ სიგრძეზე. ფოლადის მოაჯირების კონსტრუქცია ინდივიდუალურია და შედგება ფოლადის კვადრატული მილებისაგან, რომელიც შედუღებით მაგრდება ტროტუარის ბლოკებზე მოწყობილ სპეციალურ ტუმბებში დაბეტონებულ ფოლადის ჩასატანებელ დეტალებზე. პროექტში გათვალისწინებულია საპროექტო ფოლადის მოაჯირების შეღებვა. სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში მოძრაობის გადართვა გათვალისწინებულია სპეციალურად მოწყობილ დროებით გზაზე დროებითი სახიდე გადასასვლელით. დროებითი ხიდის მალის ნაშენად გამოყენებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ინვენტარული კონსტრუქციის ფოლადის ქვესავალი მალის ნაშენი. დროებითი საპროექტო სახიდე გადასასვლელი ერთმალისაა, ჭრილკოჭოვანი, სქემით 1X45.75მ; გეგმაში დაპროექტებულია სწორზე, ხოლო ფასადში ნულოვან ქანობზე. ხიდის გაბარიტია 6.7+0.75მ, სიგანე 8.05მ. მთლიანი სიგრძე 47.25მ. აქვს დიდი ჩაღრმავების ორი სანაპირო ბურჯი.

<p>ინსტიტუციური ორგანიზება</p> <p>ადგილობრივი ბიუჯეტი</p>	<p>სამშენებლო პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი:</p> <p>განსასაზღვრია</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტი:</p> <p>განსასაზღვრია</p>	
<p>განხორციელების ორგანიზება</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p>	<p>განმახორციელებელი ერთეული:</p> <p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი</p>	<p>სამუშაოთა</p> <p>ზედამხედველი: განსასაზღვრავია</p>	<p>სამუშაოთა</p> <p>კონტრაქტორი: განსასაზღვრავია</p>
<p>ადგილმდებარეობის აღწერა</p>			
<p>ინსტიტუტის დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ</p>	<p>სამტრედიის მუნიციპალიტეტი</p>		

ტერიტორიაზე არის დაგეგმილი  
საავტომობილო გზის  
რეაბილიტაცია

ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	მისამართი: თბილისი ალ.ყაზბეგის გამზირი #12 ტელ: 0322370508
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მუნიციპალიტეტის საკუთრება
მასალების მოპოვების ადგილმდებარეობა და მანძილი, განსაკუთრებით ინერტული მასალების, წყლის, ქვების	კონტრაქტორმა შესაძლებელია გამოიყენოს ინერტული მასალის კარიერი. კარიერის მოძიების სავარაუდო ტერიტორია - სამტრედიის მუნიციპალიტეტი.

პროექტის განხორციელების არეალის ფიზიკური და ბუნებრივი გარემო	<p>ოროგრაფიული ერთეული - კოლხეთის დაბლობი</p> <p>რელიეფი - აკუმულაციური დასავლეთისაკენ ძლიერ სუსტად დახრილი ვაკეა. დახრილობითა და უკეთესი დრენაჟით ხასიათდება. შედარებით ღრმად მდებარეობს გრუნტის წყალიც. უფრო ჩაჭრილ კალაპოტში მიედინებიან მდინარეებიც. ამის გამო ნაკლები გავრცელება აქვს ჭაობებს. ზედაპირის სიმაღლე აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათან მატულობს.</p> <p>მიგრაციის რეჟიმი - ალუვიურ-აკუმულაციური.</p> <p>შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე რეგიონი წარმოადგენს ალპურ-ჰიმალაური ნაოჭა სარტყლის ცენტრალური აზიის სეგმენტის ნაწილს. რეგიონი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია დიდი კავკასიონის ნაოჭა სისტემითა და ჩრდილოეთის შეცოცების სარტყლით, ხოლო სამხრეთიდან - მცირე კავკასიონის და პონტოს ნაოჭა სისტემითა და სამხრეთის შეცოცების სარტყლით. კავკასიონის მთები ფორმირებულია აფრიკის, არაბეთისა და ინდოეთის ტექტონიკური ფილების ევრაზიის ფილასთან შეჯახების შედეგად.</p> <p>საკვლევი ტერიტორია ტექტონიკურად შედის სამხრეთ კავკასიის მთათაშუა ზონის დასავლური მოლასური დამირვის აბაშის ბლოკში.</p>
--	---

საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დასავლეთი დამირვის ოლქს. აღნიშნული ოლქის მთავარი ოროგრაფიული ერთეულია კოლხეთის ბარი, რომელიც შედგენილია აკუმულაციური დაბლობი ვაკითა და მიმდებარე სტრუქტურულ-ეროზიული გორაკ-ბორცვებით. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევ ტერიტორია განთავსებულია კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში. აკუმულაციურ ზღვისპირა დაბლობზე და კავკასიონის მთავარი ქედიდან ჩამოდინებული მდინარეების (. რიონი, ცხენისწყალი, აბაშისწყალი, ხობისწყალი და ა.შ.) ტერასებზე. რელიეფის ზედაპირი სწორია, თითქმის ბრტყელი, ზღვისკენ ოდნავ დახრილი და ნაწილობრივ დაჭაობებული. ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში რიონის მარჯვენა სანაპიროზე აღინიშნება მცირე ზომის ტბები საკმაოდ მდიდარი ფლორითა და ფაუნით. ტერიტორია ძირითადად აგებულია თანამედროვე (Q4) ახალშავზღვიური, ძველშავზღვიური (ჰოლოცენი) და ზედა მეოთხეული Q3 ახალ ევქსინური პლიაჟური და დელტური ფხვიერი ნალექებით. გარსმომცველ რაიონში ნალექების დაგროვება ტრანსგრესიებსა და რეგრესიებს უკავშირდება. დაახლოებით 30 მ-დან 100 მ-დე სიმძლავრის ნალექების დაგროვება ახალევქსინური რეგრესიის შედეგია, უფრო ახალგაზრდა (15მ-დან 30მ-დე სიზრქის) ნალექების აკუმულირება პონტურ და კოლხურ რეგრესიებით აიხსნება, ხოლო რაც შეეხება სულ ზედა, 15,0 მ სიღრმემდე გავრცელებულ ფენას, მისი წარმოშობა ლაზურ ტრანსგრესიასთან არის დაკავშირებული. საკვლევ ტერიტორიის საზღვრებში, საფარი ქანები წარმოდგენილია მეოთხეული ასაკის ნალექებით, რომელთა სიმძლავრე ფონდური მონაცემებით 100 მ-ზე მეტია. ჰოლოცენური ნალექები გენეტიკურად წარმოადგენენ ზღვიურ და მდინარეულ ნალექებს, ლითოლოგიურად კი – ხრემოვან, ხვინჭოვან, ქვიშოვან და თიხოვან მასალას.

საკვლევ ტერიტორიაზე გაბურღულ ჭაბურღილებში გრუნტის წყლების დამყარებული დონეები ზედაპირიდან 1,0-3,5 მეტრ სიღრმეებზე დაფიქსირდა.

კოლხეთის დაბლობის გეომორფოლოგიური აგებულება ფორმირებულია გეოლოგიური განვითარების თანამედროვე ეტაპზე. რელიეფი წარმოდგება ორ ნაწილად. დაბლობის იმ ნაწილს, რომელიც ზღვის პირს ებჯინება, გააჩნია იდეალურად ბრტყელი ზედაპირი, რომლის აბსოლუტური სიმაღლეები 20-25 მეტრს არ აღემატება. რელიეფის ეს ნაწილი ეროზიულ ფორმებს სავსებით მოკლებულია, ხოლო მისი მორფოლოგიური ხასიათი მთლიანად აკუმულაციური პროცესებით არის განპირობებული. ამ ნაწილის საზღვრებში მდინარეები აწეულ კალაპოტებში მიედინებიან. ზღვისპირა ზოლის ზვირთმოსევის უბნებში განვითარებულია სანაპირო დიუნები, რომლებიც ამწელებენ მდინარეთა წყლების ზღვაში შეღწევას.

კოლხეთის დაბლობის შიდა ნაწილი შედარებით ახალი მეოთხეული წარმოშობისაა. აქ რელიეფის ზედაპირის აბსოლუტური ნიშნულები 20-130 მ საზღვრებში ცვალებადობენ. ამ ტერიტორიას ახასიათებს დახრილობა ჩრდილოეთიდან (მთისწინეთიდან) სამხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ვაკე რელიეფის პირობებში მორფოლოგიურად მკაფიოდ იკვეთება მდ. რიონის, მდ. ცხენისწყლისა და მდ. ყვირილას ფართო ტერასული საფეხურები.

საქართველოს სეისმური დარაიონების სქემის შესაბამისად, მოცემული ტერიტორია მიეკუთვნება 7- და 8-ბალიანი (MშK64 სკალით) ინტენსივობის სეისმური საშიშროების ზონებს (სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომდეგი მშენებლობა“ – პნ 01.01-09). სამტრედიიდან ზუგდიდის მიმართულებით, აბაშამდე, ტერიტორია შედის 7-ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში, ხოლო აბაშიდან ზუგდიდამდე ნაწილი – 8-ბალიან ზონაშია (აბაშა #2634, 8 ბალი, A=0,12; სენაკი, #2909, 8 ბალი, A=0,17; ზუგდიდი, # 2675, 8 ბალი, A=0,21).

სახიფათო გეოლოგიური მოვლენები

მნიშვნელოვანი სახიფათო გეოლოგიური მოვლენებიდან კოლხეთის ვაკე-დაბლობის ტერიტორიაზე აღსანიშნავია მდინარეთა გვერდითი ეროზია და წყალდიდობებით გამოწვეული დატბორვები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან მდინარეები რიონი და ცხენისწყალი, რომელთა თითქმის ყველა მეანდრირებული მუხლის უბანზე ნაპირები ინტენსიურად ირეცხება. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული გეომონიტორინგული კვლევების შედეგების თანახმად, სამტრედიისა და ლანჩხუთის რაონებში მდინარეთა ნაპირების ეროზიული გარეცხვით მოცული უბნების ჯამური სიგრძე 58 კმ-ს შეადგენს, ხოლო დატბორვადი ტერიტორიების საერთო ფართობი 150 ჰექტრამდეა.

კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზონაში გვხვდება მრავალი დაჭაობებული ფართობი და ზღვის სანაპიროს რეცხვის უბნები. სამტრედიისა და ლანჩხუთის რაიონების საზღვრებში მიწისძვრების საშიშროების რისკი შეფასებულია 8 ბალის ინტენსივობით (საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს 1991 წლის 7 ივნისის # 42 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი ზოგადი სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის თანახმად).

ანაკლიას საზღვაო პორტთან დამაკავშირებელი ახალი გზის ტრასა კვეთს კოლხეთის შუა ზღვისპირა პერიფერიულ ნაწილს. აქ რელიეფი აკუმულაციური, ჰორიზონტალური და თითქმის ბრტყელია. მდინარეების კალაპოტები უმნიშვნელოდ არიან ჩაჭრილი რელიეფში და შემოისაზღვრებიან ბუნებრივი აკუმულაციური დამბებით. გრუნტის ზედაპირი მეტწილად დაჭაობებულია. ლითოლოგიურად ტერიტორია აგებულია ზღვიური და მდინარეული ფხვიერი და კოჰეზიური ქვიშა-ხრეშოვანი მასალით და ჭაობის ლამიანი გრუნტებით. კოლხეთის დაბლობის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, რომელიც შავი ზღვის სანაპირო ზოლს ესაზღვრება, გრუნტების ლითოლოგიური აგებულება შედგენილია გალებებული თიხებით და ძალზედ სუსტი ტორფით, რომლებიც დამუშავების თვალსაზრისით ძალზედ რბილი კონსისტენციის გრუნტებს წარმოადგენენ. დაჭაობების პროცესი განპირობებულია კოლხეთის დაბლობის საერთო დამირვით ჰოლოცენის პერიოდში. საქართველოს სეისმური დარაიონების სქემის შესაბამისად, მოცემული ტერიტორია მიეკუთვნება 7-ბალიანი ინტენსივობის სეისმური საშიშროების ზონას (ანაკლია, 2678) (სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომდეგი მშენებლობა“ – პნ 01.01-09).

**საცხოვრებელი, სოფლისა და ინდუსტრიული ტერიტორიები** – ადამიანის მიერ შეცვლილ ლანდშაფტებში გვხვდება ინდუსტრიული, ქალაქის ტიპის ეკოსისტემები და აგროცენოზები:

სახნავ-სათესი, ბაღჩა, ბოსტანი, სამოვარი, სათიბი, ქარსაცავი ზოლები, არხებისა და თხრილების ნაპირები და სხვა ეკოტონური ეკოსისტემები აგროცენოზებსა და გზას შორის. მარშრუტის ნაწილი მიუყვება მეტ-ნაკლებად დამუშავებულ მიწებს ამ ლანდშაფტში არსებული ცხოველების დიდი ნაწილი გადმოდის მოსაზღვრე ეკოსისტემებიდან. ამავე დროს, სავარგულები წარმოადგენს ბევრი ცხოველის საკვებ ადგილს, განსაკუთრებით ეს ეხება დამურებსა და ფრინველებს, რომლებიც ბუდობენ ტყეში ან ახორციელებენ გადაფრენას. აქ გვხვდება ცხოველების რამდენიმე მუდმივი კომპლექსი. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სამოვრებსა და სათიბებზე არსებულ ველურ ცხოველებს. ძირითადად ეს უკავშირდება სახეობების კომპლექსებს ახლომდებარე ბუნებრივი ლანდშაფტებიდან, რომელთა პოპულაციების რიცხოვნობა შემცირებულია.

გზის პროექტის ზემოქმედების ზონა ძირითადად მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწასა და დასახლებულ ტერიტორიას. ანთროპოგენურ ლანდშაფტში გვხვდება ნახევრად ბუნებრივი ბიოტოპების მცირე უბნები – ტყეები და მდელოები. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ჩვეულებრივი საბაღე (სინანთროპული) ფრინველები, ძუძუმწოვრები, რეპტილიები და უხერხემლოები. აღნიშნულ ტერიტორიას აქვს გარკვეული მნიშვნელობა გადამფრენი ფრინველებისა და დამურებისათვის. ხანდახან ფრინველთა ბუდეები და დამურების კოლონიები შეიძლება შეგვხვდეს ძველ ინდუსტრიულ შენობებში – ძირითადად, მიტოვებულ საწყობებში, სარდაფებში, სხვენებსა და სხვ. ამ შემთხვევაში საჭიროა სპეციალური ზომების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი მასობრივი დახოცვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს სახეობები დაცულია კანონით (მაგ., შეტანილია “საქართველოს წითელ ნუსხაში”). მოკლე საველე კვლევის დროს დაცული სახეობების ამგვარი საბუდარი ადგილები ან კოლონიები არ იქნა აღმოჩენილია დერეფნის მახლობლად. რამდენიმე მიტოვებული შენობა უნდა დათვალიერებული იქნეს მშენებლობამდე.

- ჭალის ეკოსისტემები/მდინარის ბუჩქნარით და/ან ტყეებით დაფარული მდინარის ნაპირები. გზა მდინარის ეკოსისტემებს გადაკვეთს ბევრ ადგილას, ეს ეკოსისტემები განსაკუთრებითაა მოწყვლადი არა მარტო გადაკვეთის წერტილებში, არამედ მთელი გზის მონაკვეთზე, რომელიც გაივლის მდინარის სიახლოვეს;
- გამდინარე მტკნარი წყლის ეკოსისტემები;
- კოლხეთის დაბლობის ტყის ნარჩენები.

დამურები

ყველა დამურა საქართველოში დაცულია კანონით, EUROBATS ხელშეკრულების მიხედვით. დამურები დიდად არიან დამოკიდებული თავშესაფრებზე. მათი კეთილდღეობისათვის სასიცოცხლოდაა აუცილებელი თავშესაფრები – ხეები ფულუროებით, გამოქვაბულები და მიტოვები შენობები. მოზამთრე და ახალგამრავლებული კოლონიები შეიძლება განადგურდეს გაწმენდის სამუშაოების დროს ფულუროებიანი ხეების მოჭრის ან ხიდების მშენებლობის დროს,

ასევე ძველი შენობების განადგურებით ტრასის მშენებლობის დროს არასწორად შერჩეულ პერიოდში.

სამტრედიის უბანზე მხოლოდ ერთი სახეობაა დადასტურებული, ხოლო ორი ნავარაუდევია. არც ერთი მათგანი არ გახლავთ კანონით დაცული.

ძუძუმწოვრები

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა დავამატოთ, რომ სამუშაო ტერიტორია მდებარეობს ზოგიერთი საზოგადოებრივად საინტერესო სახეობის გავრცელების არეალში. არსებობს სანადირო და ტურისტებისა და ფრინველებზე დამკვირვებელთათვის საინტერესო სახეობები.

ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს სახეობები მოექცნენ მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ, ვინაიდან პოპულაციის რიცხოვნობა მცირეა და ანთროპოგენური წნეხი დიდი ხნის მანძინზე არსებობდა ამ ტერიტორიაზე.

ჩატარებული კვლევების შედეგად ხაზობრივ ტრანსექტებზე კვლევის არეალში ძუძუმწოვარი არ დაფიქსირებულა ამიტომ დავეყდნენით ლიტერატურულ მონაცემებს, რომელიც ამ ტერიტორიაზე არსებობდა მოყვანილ სახეობებზე ზეწოლა მოსალოდნელია არაპირდაპირი გზით ან დროებით პერიოდში. არაპირდაპირ ზეწოლაში იგულისხმება ეკოსისტემის იმ ნაწილის დაზიანება, რომლიდანაც ცხოველები ენერგიას იღებენ საკვების სახით; ასევე მიგრაციის დერეფნების გადაადგილებას, რაც ფონურ სტრესს გაზრდის საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ჰაბიტატებში მოზინადრე ფაუნის წარმომადგენლებისთვის. ჩამოთვლილი ცხოველებიდან წავი (*Lutra lutra*) არის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული მდინარეებისთვის მოყვანილი სახეობა რომელიც ზეწოლის არეალის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობაა. თუმცა არ არსებობს ზუსტი მონაცემები ხეობაში ამ სახეობის ზუსტი ლოკაციის ან პოპულაციის სტრუქტურის და რიცხოვნობის შესახებ.

ზოგადი აღწერილობით წავი მდინარის ჰაბიტატებთან ასოცირებული სახეობაა და ბინადრობს მდინარის მდორე დინებებთან გრუნტოვან სუბსტრატზე.

საკვლევ ტერიტორიაზე მოზინადრე ხმელეთის ძუძუმწოვართა თვალსაზრისით, დამურები (რიგი: ხელფრთიანები (*Chiroptera*)) სახეობების მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნება. ხელფრთიანები უკიდურესად შეზღუდულნი არიან თავიანთი საბუდარი კოლონიებისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფაში. ხელსაყრელი თავშესაფარია ხეების ფულუროები, გამოქვაბულები და მიტოვებული შენობები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ხელფრთიანებისათვის. ხელფრთიანების

	<p>ყველა სახეობა, რომლებიც საქართველოში გვხვდება, შეტანილია ბონის კონვენციის დანართ II-ში და დაცულია EUROBATS-ის შეთანხმებით. ამ შეთანხმების თანახმად საქართველო ვალდებულია დაიცვას პროექტის არეალში და მის მახლობლად დაფიქსირებული ყველა სახეობა.</p> <p><u>ფრინველები</u></p> <p>საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი ფრინველების ძირითადი ნაწილი ტყისა ბუჩქნარების და სახეობებით არის წარმოდგენილი გვხვდება ასევე წყალთან დაკავშირებული ფორმები ტერიტორია არ წამოადგენს ფრინველთათვის მნიშვნელოვან საბინადრო გარემოს. იგი არ ხვდება ფრინველთათვის პრიორიტეტული ჰაბიტატების და სამიგრაციო დერეფანის ტერიტორიაზე</p>
<p><b>კანონმდებლობა</b></p>	
<p><b>ეროვნული კანონმდებლობა და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</b></p>	<p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას და შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.</p>

კონტრაქტორი ვალდებულია ნებისმიერი ტიპის საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მთლიანი პასუხისმგებლობა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა ეკისრება თავად კონტრაქტორს.

საქართველოს კანონმდებლობით გზების რეაბილიტაციის პროექტისთვის არ არის მოთხოვნილი მისი გარემოზე ზემოქმედების განხილვა, დამტკიცება ან ნებართვის გაცემა. თუმცა, ეროვნული რეგულირების სისტემით:

კონტრაქტორი ვალდებულია:

- (i) აიღოს ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია ან მასალები შეიძინოს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;
- (ii) აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად, ან შეიძინოს ასფალტის ქარხნიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა;
- (iii) მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისთვის, თუ ბეტონს აწარმოებს თავად, ნაცვლად შეძენისა;
- (iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან და ზედამხედველ კომპანიასთან;
- (v) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე კონტრაქტორსა და ოპერატორ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების საფუძველზე
- (vi) თუ კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში წარმოიქმნება

	<p>200 ტონაზე მეტი არა სახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი, უნდა მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და დანიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი, რომლის ვინაობის შესახებ ინფორმაცია, უნდა წარუდგინოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად.</p>
--	---

	<p>კონტრაქტორი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის, ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, ბეტონის კვანძის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსების ადგილის, ნარჩენების ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმების ასლები, ასევე ნარჩენების განთავსებაზე შესაბამისი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის ასლები წარუდგინოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.</p>
--	--

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი

მოიცავს თუ არა პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
	A. რეაბილიტაცია	დიახ	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	არა	
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	არა	
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	არა	
	E. მიწის შექენა	არა	
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები	არა	

-----

### 3. შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები
0. ზოგადი	ინფორმირება	<p>(a) კონტრაქტორმა უნდა დაამზადოს საინფორმაციო ბანერი და განათავსოს სამშენებლო ტერიტორიაზე, სგდს-თან შეთანხმებულ ადგილას და შეთანხმებული დიზაინით. ამავე დროს, უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა და დაცვა ამინდის ზემოქმედებისგან. ბანერზე ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტში სამუშაოთა ზედამხედველ საკონსულტაციო კომპანიაში და მუნიციპალიტეტის გამგეობაში, რომელთაც მოსახლეობა შეიძლება დაუკავშირდეს გარემოზე ზემოქმედების ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრების არსებობის შემთხვევაში.</p> <p>(b) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის ყველა საჭირო ნებართვა;</p> <p>(c) კონტრაქტორმა უნდა განაცხადოს ოფიციალური თანხმობა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით;</p> <p>(d) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ეცვათ ჩექმები);</p> <p>(e) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის- მაჩვენებლებზე - სამუშაოთა - განხორციელების ადგილებზე.</p>

		<p>(a) მასალების / სამშენებლო ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირება დადგილზე, უნდა იქნეს გადახურული და მშრალ ამინდში გადმოტვირთვის დროს მოირწყოს მტვრის შესამცირებლად;</p> <p>(b) პნევმატური ბურლით ნგრევის, ასევე, მასალების ჭრისა და დაფქვის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს მორწყვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით;</p>
<p>A. ზოგადი სარეაბილიტაცი ო  და / ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>(c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე;</p> <p>(d) არ უნდა მოხდეს ნარჩენების დაწვა;</p> <p>(e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა;</p> <p>(f) მტვრის წარმომქმნელი სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს გადახურული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით;</p> <p>გ) საფარის არმქონე გზები უნდა მოირწყოს და მასზე მანქანების გადაადგილების სიჩქარე შეიზღუდოს 35 კმ/სთ-მდე</p>

	ხმაური	<p>(a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით 07-00 სთ-დან - 19.00 სთ-მდე; აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი სამუშაო საათები უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან და საავტომობილო გზების დეპარტამენტთან</p> <p>(b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს. დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან;</p> <p>-----</p> <p>(c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით;</p> <p>(d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე;</p> <p>(e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა - დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ხმაურს;</p> <p>(f) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაცუჩები.</p> <p>-----</p>
--	--------	--

წყლის  
ხარისხი

(a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწიოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს წყალგაუმტარი მასალით. გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლი ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში.

(b) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე;

(c) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით.

(d) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი). კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს ნავთობპროდუქტებისა და სხვა დამაბინძურებლების მოხვედრა ზედაპირული წყლის ობიექტში ან მიწისქვეშაწყლებში, წყალშემცველი შრის ჩათვლით.

(e) არ უნდა მოხდეს ცემენტის, ბეტონის ან ასფალტის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.

(f) ხიდებზე სამუშაოების განხორციელების დროს კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს საღებავების, ზეთების და საცხების შესაბამისი განთავსება, რომ არ მოხდეს მათი ჩაღვრა მდინარეში. აკრძალულია ნებისმიერი სახის ნარჩენის ჩაყრა მდინარის კალაპოტში.

	<p>პოტენციური დამაბინძურებელი მასალები არ უნდა იქნეს დასაწყობებული მდინარის კალაპოტიდან 50 მეტრზე უფრო ახლოს.</p>
<p>ნარჩენების მართვა</p>	<p>(a) სამშენებლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები;</p> <p>(b) ინერტული სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინერტული სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ჭარბი გრუნტის განთავსება უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილას;</p> <p>(d) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის უახლოეს ნაგავსაყრელზე.</p> <p>(e) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(f) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).</p>

	<p>მასალების მიწოდება</p>	<p>a) გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>b) ინერტული მასალის ახალი კარიერის ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c) ინერტული მასალის მოპოვების კარიერი უნდა იქნეს დატერასებული;</p> <p>d) მდინარის კალაპოტში ქვიშა-ხრეში მოპოვება არ უნდა მოხდეს წყლის ნაკადში. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში. მოწყობილი უნდა იყოს დამცავი ბარიერები ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის.</p> <p>e) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>f) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p>
	<p>ხეების დაცვა გზის გასწვრივ</p>	<p>a) ხეები გზის გასწვრივ არ უნდა მოიჭრას და არ უნდა იქნეს დაზიანებული;</p> <p>b) ქვედა ტოტები შეიძლება შეიჭრას შერჩევითად სათანადო მეთოდით სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მექანიკური დაზიანების შესამცირებლად;</p> <p>c) საჭიროების შემთხვევაში უნდა მოეწყოს სპეციალური ღობეები ხეების გარშემო მექანიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად;</p> <p>d) თუ რომელიმე ხე დაზიანდება, გახმება ან მოიჭრება სამშენებლო სამუშაოების გამო, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მის მაგივრად შესაბამისი ზომის ნერგების დარგვა 1:3-თან შეფარდებით საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით</p>

<p>H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრი 3</p>	<p>(a) კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია დაცულია შესაბამისად და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის შემოიფარგლება შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; კონტრაქტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ საგზაო ნიშნები, გზების მონიშვნა, განათება, ბარიერები, მოძრაობის</li> </ul>
--	---	--

	<p>ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>რეგულირების ნიშნები იყოს სუფთა და ჩანდეს გარკვევით. კონტრაქტორი ვალდებულია დააყენოს, გადაიტანოს, დაფაროს ან აიღოს საგზაო ნიშნები სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისად.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად</li> </ul> <p>მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ქვეითად მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის</li> </ul> <p>მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან საქონლის გადაადგილების საათებში;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს ისეთ თანამშრომლების მიერ რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგი;</li> <li>▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელები შენობებთან.</li> <li>▪ სამუშაოების განხორციელების დროს შენარჩუნებული უნდა იქნეს ტროტუარების /</li> </ul> <p>ქვეითად მოსიარულეთა სავალი ნაწილის არსებული სიგანე, ყველა ნაპრალის თუ დაბრკოლების წინ მთელ სიგრძეზე უნდა მოთავსდეს გამაფრთხილებელი ბარიერი, ქვეითად მოსიარულეთა სავალი ნაწილი დაცული უნდა იქნეს ტალახისა და ასამშენებლო ნარჩენებისაგან.</p>
--	---	--

კონტრაქტორმა და მიმწოდებლებმა დიდი და/ან მძიმე ტვირთების, სამშენებლო მოწყობილობების, მასალებისა და გრუნტის გადატანის დროს, რაც შეიძლება ნაკლებად

- უნდა გამოიყენონ ავტომაგისტრალები, მიიღონ სათანადო ზომების იმისათვის, რომ ტვირთგადამზიდი მანქანები არ ჩერდებოდნენ ავტომაგისტრალზე სამშენებლო ტერიტორიაზე შესვლის წინ.

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ზომები მიწის სამუშაოებით გამოწვეული ტალახის გზებზე მოხვედრის შესამცირებლად.

კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ გზის მიმდებარე მოსახლეობას რაც შეიძლება ნაკლებად ან საერთოდ არ შეექმნათ პრობლემები გზის

- სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების გამო.

4. მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა? (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი)	სად? (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრიზე მონიტორინგი)	როდის? (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა)	რატომ? (არის პარამეტრი მონიტორინგის ქვეშ)	ვინ? (არის პასუხსიმგებელი მონიტორინგზე)
სამშენებლო მასალებით მომარაგება	სამშენებლო მასალების შექმნა ოფიციალური არხებით ლიცენზირებული მომწოდებლებისგან	მასალების მომწოდების ოფისში, საწყობ ბაზაზე, მდინარის პირას, კარიერზე	საბუთების შემოწმება; ხარისხის შემოიწმება	მასალებით მომარაგების ხელშეკრულებათა გაფორმებისას	ნაგებობის ტექნიკური გამართულობისა და გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოების უზუნველსაყოფად	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება	- სატვირთო მანქანების და საგზაო სამშენებლო ტექნიკის გამართულობა; - ძარის სრულფასოვნება და ტვირთის დაცულობა საფარი მასალით; - ტექნიკის გადაადგილება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით	საშენი მასალებისა და სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირების მარშრუტები	სამშენებლო ობიექტთან მიმდებარე გზების ინსპექტირება გადაადგილების მარშრუტების მიმართულებებით	წინასწარ განუცხადებელი შემოწმება სამუშაო საათებში	- მტვერით და მყარი მასალით ჰაერისა და გზების დაბინძურების თავიდან ასარიდებლად; - საავტომობილო მოძრაობის შეფერხების შესაზღუდად	სგდ; საკატრულო პოლიცია
სამშენებლო ტექნიკის ოპერირება	სამშენებლო ტექნიკის გამართული მუშაობა; -	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	სამუშაო საათებში და მათ გარეშე	- ტექნიკის ოპერირებისაგან ჰაერისა და	სგდ;

<p>ობიექტზე</p>	<p>გამონაბოლქვის სიჭარბე - საწვავ-საპოხის ჟონვა - სამუშაო საათების დაცულობა</p>				<p>ნიადაგის დაბინძურების შესამცირებლად;  - მოსახლეობის ხმაურითა და ვიბრაციით შეწუხების შესაზღვრად</p>	
<p>- სამშენებლო ტექნიკის მომსახურება</p>	<p>- ავტომობილების და ტექნიკის რეცხვა სამშენებლო ობიექტის გარეთ ან მდინარიდან მაქსიმალურად მოცილებულ ადგილას;  - ტექნიკის გამართვა საწვავ-საპოხით სამშენებლო ობიექტს გარეთ ან ობიექტზე მოწყობილ საგანგებო პუნქტში;  - ტექნიკის მომსახურების პუნქტის ტექნიკური გამართულობა: • მყარი გაუმტარი იატაკი ან ადსორბენტის (ქვიშა, წვრილი ხრეში, მემბრანა) საფარი</p>	<p>სამშენებლო ობიექტი და მასთან არსებული სამშენებლო ბაზა (თუკი იარსებებს)</p>	<p>საქმიანობის ინსპექტირება</p>	<p>ტექნიკის ოპერირების პერიოდი</p>	<p>- ტექნიკის მომსახურებისა და ნიადაგისა და წყლის ნავთობპროდუქტებით დაბინძურების თავიდან არიდება;  - აალებადი ნივთიერებებისგან ხაძრის გაჩენის შემთხვევაში მისი დროული ლოკალიზების უზრუნველსაყოფად და მოსალოდნელი ზარალის შესამცირებლად</p>	<p>სგდ;</p>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკმაო ფართობი და გაუმტარი ბარიერები საწვავის კონტეინერთა გარშემო</li> <li>• საბაზისო ცეცხლმაქრი საშუალებები</li> <li>• სალექარები მანქანების სამრეცხაოსთან</li> </ul>					
